Environment and Society, N14, December, 2024, pp. 133-155

შავი ზღვის მნიშვნელობა, რუსეთის ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში

ავტორი:

ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: pikria.asanishvili@tsu.ge

აბსტრაქტი

ცივი ომის დასასრულმა და საბჭოთა კავშირის დაშლამ ცალსახად ახალი წესრიგი წარმოქმნა საერთაშორისო სისტემაში. ორპოლუსიანობის დასასრულმა განაპირობა აშშ-ს სრული დომინაცია და გამოიკვეთა ერთ პოლუსიანი სამყაროს კონტურები. რუსეთის პოლტიკური ელიტა არასდროს შეგუებია ახალი პოსტ ცივი ომის საერთაშორისო სისტემას აშშ-ს ჰეგემონობით და მუდმივად ცდლიობდა მრავალპოლუსიანი სამყაროს ფორმირებას,სადაც რუსეთს კვლავ ექნებდა უძლიერესი სახლმწიფოს სტატუსი. რუსეთის აზრით, მულტიპოლარულობა დაასუტებდა ამერიკის ცალსახა ჰეგემონობას და შანს მისცემდა მოსკოვს დაებრუნებინა იმ გავლენიანი სტატუსის მქონე სახლეწიფოს იმიჯი, როგორიც მას ჰქონდა სსრკ-ს არსებობის დროს. ასეთი სტატუსის გარანტია კი კრემლს მიეცემოდა მოლოდამხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის თავის ე.წ. სამეზობლოში ანუ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის ბერკეტების შენარჩუნებას შეძლებდა. ამიტომ იყო რომ მთელი ცივი ომის პერიოდის დროინდელი ურთიერთობა ვაშინგტონთან და მის სტრატეგიულ პარტნიორ დასავლეთის ქვეყნებთან კრემლისთვის გადიოდა პარტნირობისა და კონკურენციის ხაზზე. იქ სადაც პოსტსაბჭოთა სივრცის არეალს არ ეხებოდა ინტერესები, რუსეთი თანამშრომლობდა დასავლეთთან, მაგრამ როგორც კი პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტერესების გადაკვეთას ჰქონდა ადგილი, რუსეთის

პოლიტიკა შეუვალი და ანტაგონისტური ხდებოდა. ყველაზე ნათლად ამ კონკურენციის მასშტაბები აისახა შავი ზღვისა და შავი ზღვის რეგიონის შემთხვევაში.

კრემლისთვის ცივი ომის პერიოდი შავი ზღვის რეგიონში გავლენის თვალსაზრისით უფრო სტაბილური იყო. რადგან იმ პერიოდში რუსეთის ერთადერთი კონკურენტი ძალა ნატოს წევრი თურქეთი იყო და მასთანაც ურთიერთობა ზღვაზე რეგულირდებოდა მონტრეს კონვენციის ფარგლებში. სხვა შავიზღვისპირა ქვყნები ან უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ ან სოციალისტურ ბანაკში. სიტუაცია რუსეთისვის არახელსაყრელად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეეგ როცა რეგიონში ორი მოთამაშის ნაცვლად გაჩდა ექვსი სახელმწიფო: ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, რუსეთი, საქართველო, უკრაინა. 2004 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ნატოს ალიანსის წევრები გახდნენ. ამ ინტეგრაციისკენ მიისწრაფოდა საქართველო და უკრაინაც რაც რუსეთისათვის პირდაპირ პროპორციულად არა მარტო ძლიერი სახელმწიფოს სტატუსის დაკნინების მომასწავებელი იყო,არამედ რეგიონული ძლიერი სახლეწიფოს სტატუსისაც.

ძლიერი სახლმწიფოს წოდებისათვის ბრძოლა კრემლმა ძლიერი საზღვაო სახელწიფოს (maritime great power) პოლიტიკის გატარებით დაიწყო, რადგან პუტინისთვის სახმლეთო ძლიერება, ზღვის გარეშე წარმოუდგენელ ამოცანად მიიჩნეოდა. სტატიაში განხილულია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში საზღვაო სახელმწიფოს სტატუსი ზრდის მნიშვნელობა და მისი გავლენა შავი ზღვის ძალთა ბალანსზე. საკვლევ პერიოდად აღებულია 2022 წლის ომამდელი ვითარება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; საგარეო პოლიკა; შავი ზღვა; საზღვაო ძლიერი სახელწიფო.;

Environment and Society, N14, December, 2024, pp. 133-155

The significance of the Black Sea in reinforcing Russia's position as a powerful maritime state.

Author

Pikria Asanishvili- Associate Professor, Department of International Relations, Tbilisi State University

E-mail: pikria.asanishvili@tsu.ge

Abstract

The end of the Cold War and the collapse of the Soviet Union resulted in a new order within the international system. The shift from a bipolar to a unipolar world led to the complete dominance of the United States. The Russian political elite struggled to accept this new environment characterized by U.S. hegemony. It continuously sought to establish a multipolar world, which it believed would restore Russia's status as a significant power. In Russia's view, a multipolar world would challenge America's unchallenged dominance and provide Moscow with an opportunity to regain the influence it held during the Soviet era.

The Kremlin believed it could only secure this status by maintaining its influence in its so-called neighborhood, referring to the post-Soviet space. As a result, throughout the Cold War, Russia's relations with Washington and its Western strategic partners were marked by both partnership and competition. Russia collaborated with the West on issues that did not pertain to the post-Soviet space. However, Russian policy became uncompromising and confrontational whenever interests clashed in that region. This competition was most clearly illustrated in the context of the Black Sea and the surrounding region.

During the Cold War, the Kremlin enjoyed a relatively stable influence in the Black Sea region. At that time, Russia's only significant rival was NATO member Turkey, and the Montreux Convention governed their maritime relations. The other countries bordering the Black Sea were either part of the Soviet Union or aligned with the socialist camp. However, following

the collapse of the Soviet Union, the landscape changed to Russia's disadvantage, resulting in the emergence of six states in the region: Bulgaria, Romania, Turkey, Russia, Georgia, and Ukraine. In 2004, Bulgaria and Romania joined NATO, while Georgia and Ukraine expressed aspirations for membership. This shift represented a significant decline in Russia's status as a strong state and regional power.

In response, the Kremlin began striving to reclaim its status as a strong state by pursuing a policy of becoming a mighty maritime nation. For Putin, land power was deemed unattainable without control of the sea. This article explores the significance of elevating Russia's status as a maritime state within its foreign policy. It examines its impact on the balance of power in the Black Sea, focusing on the pre-war situation of 2022 as the research period.

Keywords: Russia; Foreign Policy; Black Sea; A powerful maritime state;

შესავალი

რუსეთის საგარეო პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და ფართოდ განხილვადი თემაა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ საკითხს ეძღვნება დიდი რაოდენობით პუბლიკაცია. ყველა მათგანი იკვლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკას სხვადასხვა პერსპექტივიდან და მიდგომიდან. განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხცისადმი გაიზარდა 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ , როდესაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთმა პირველად დაარღვია ღიად საერთაშორისო პოსტ ცივი ომის შემდგომი წესრიგი და თავს დაესხა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს პოსტ საჭოთა სივრცეში, და განსაკუთრებით მრავალეფოეროვანი, 2014-2022 წლბში გახდა ,როცა რუსეთმა პირდაპირ მოახდინა ყირიმის ანექსია, ჰიბრიდული ომი გაუმართა უკრანას სამხრეთ აღმოსავლეთ რგიონებში,ხოლო 2022 წელს უკვე ფართომასშტაბიანი ინტერვენციაც განახორციელა.

2008-2021 წლებში გამოსული სამეცნიერო კვლვები ძირითადად სამი მიდგომიდან ხსნის რუსეთის ქცევას და იკვლევს მისი საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციას: ყველაზე დომინანტურია ნეორეალისტური მიდგომ,რომელიც -რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხსნის საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით. ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი ავტორიტარული დ ავტოკრატიული რეჟიმის გავლენით კრემლის საგარეო პოლტიკაზე ; და კონსტრუქტივზსმის თეორიული მიდგომით,რომელიც ეხება რუსეთის იმპერიული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის აღქმის კვლევას; ამ სტატიისთვის ყველაზე რელევანტურია საკითხის ანალიზი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესების განხილვით,ოღონდ განსაკუთრებული ფოკუსი კონცენტირერულია რუსეთის, როგორც ძლიერი საზღვაო სახელწიფოს (maritime power) სტატუსის მიღწევასა და მნიშვნელობაზე.

მეცნიერები, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკას ნეორეალისტური პერსპექტივიდან განიხილავენ,მთავარ აქცნტს აკეთებენ ნატოს გაფართოების საკითხებზე. ალიანსი აღმოსავლეთით გაფართოება განხილულია რუსეთის ეროვნული ინტერესების საფრთხის ჭრილში და რუსეთ საქართველოს 2008 წლის ომიცა და ყირიმის 2014 წლის ანექსიაც, ლუჰანსკისა დ დონბასის შეიარაღებული დაპირისპირებაც, განხილულია,როგორც რუსეთის ეროვნული ინერესების პირდაპირი საფრთხე. რუსეთის აგრესია და ინეტრვენციები ბუქარესტის 2008 წლის ნატოს გაფართოების სამიტით იხსნება,როცა კიევმაც და თბილისმაც მიიღო დაპირება რომ ისინი ალიასის წევრები აუცილებლად გახდებოდნენ. და თავისი გავლენის სფეროებთან დასავლეთის მჭიდრო თანამშრომლობამ განაპირობა კრემლის აგრესიული ქმედება.

„კრემლის რეაქცია ბუნებრივი იყო, რადგან დიდი სახლეწიფოები ყოველთვის მგრძნობაიარენი არიან პოტენციური საფრთხეების მიმართ,რაც მათი ტერიოტრიების მახლობლად წარმოიქმნება; (Mersheimer:82.2014) ნატო არის რუსეთის მუდმივი შიში

(ულტი, 2015); რუსეთი არის ღრმად კონსერვატიული ძალა,რომლის ქმედებები გამიზნულია ცივი ომის დროს დამკვდრებული სტატუს კვოს შენარჩუნებისაკენ (Sakwa 2016). დასავლეთს თავი უნდა შეეკავებინა თბილისის და კიევის მიმათ რაიმე პოლიტიკური ან სამხედრო ვალდებულებისაგან და კარგი იყო ევროატლანტიკურ სტურქტურებში ამ ქვეყნების გაწევრების მხარდაჭერისათვის გადაეხედა (Tooze 2022) ამ მოსაზრებას იმთავითვე ბევრი ოპონენტი გამოუჩდა.

პოლიანსკის აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მკვევარები ვინც რუსეთის ქცევას ნატოს გაფართოების პოლიტიკით ხსნის, დარწმუნებულები არიან რუსეთის თავდაცვითი მოტივების შესახებ, მიუხედავად ომის დროს წარმოქმნილი მზარდი კონტრმტკიცებულებებისა. მაგალითად, მერშაიმერი პირველ რიგში ამტკიცბდა,რომ პუტინის შეჭრა პრვოცირებული იყო უკრაინის ნატოში ინტგრაციისა და რუსთის გავლენის ზონიდან გასვლის სურვილით. ომის დაწყბის მერც ეს ავტორი ამტკიცებდა რომ მოსკოვი არ იყო დაინტერესბული უკრაინის დაპყრობით და რუსეთში ინტგრირებით. არამედ ის ვარაუდობდა რომ პუტინი მხოლოდ ბუფერული ზონის შექმნას აპირებდა უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. პოლიანსკი შეცდომად მიიჩნევს რუსეთის გრესიის ახსნას ნატოს გაფართოების მიზეზით. 2021 წლის ბოლოსა დაა 2022 დასაწყისში უკრაინა არათუ რამოდენიმე წლით შორდებოდა ნატოში ინტგრაციას, არამედ ზოგიერთი ევროპელი ლიდერი აროფიცალურად მორატიროუმის დადებასაც კი განიხილავდა ამ საკითხზე დაძაბულობის გასანეიტრალებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქავთ, რუსეთის შეტევა ნატოს ქმედებების გამო, ნაკლებად იყო პროვოცირბული. უფრრო მეტიც, 2022 წლის შემოდგომაზე, ომის დაწყების შემდეგ, პუტინმა გამოაცხადა დონბასის ტერიტორია რუსეთის ტერიტორიად სამხრეთ უკრაინის ორ ოკუპირებულ რეგიონთან ერთად, რაც ეწინააღმდეგება მოსაზრებას,რომ რუსეთი ცდილობს „ბუფერული ზონის“ შექმნას უკრაინის ოკუპირბულ ტერიტორიებზე (Polianskii, 57 (2): 156–172. 2024)

მეც ვიზიარებ მოსზრებას, რომ მხოლოდ ნატოს აღმოსაავლეთით გაფართოება არ გამხდარა რუსეთის რევანშიზმის მიზეზი და ამიტომ ამ სტატიაში მთავარი აქცენტი გაკეთდება არა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაზე, როგორც რუსეთის პასუხზე გარე საფრთხეზე, არამედ შავი ზღვის მნიშვნელობაზე მის საგარეო პოლიტიკაში. რატომ არის შავი ზღვა მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსთის,როგორც ძლიერი სახელწიფოს სტატუსქვოს შენარჩუბნებაში და რატომ გახდა ნატოს შავი ზღვაზე გაფართოება უფრო მტკივნეული რუსეთისათვის, ვიდრე მისი გაფართოება ბალტიის ზღაზე, როცა პოსტსაბჭოთა ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ალიანსის წევრები გხდნენ 2004 წელს. ამ სტატიის მიზანია გაანალიზოს შავი ზღვია მნიშვნელობა რუსეთისათვის (პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც) და მისი გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. სტატიაში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს

- რა ფაქტორებმა განაპირობა რუსეთის, როგორც ძლიერი საზღვაო ქვეყნის პოზიციონირების აუცილებლობა საერთაშორისო სიტემაში?
- რატომ იქცა ამ სტატუსის მოპოვებაში შავი ზღვა გადამწყვეტ არეალად?

შავი ზღვის მნიშვნელობა, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ყოველთვის ავლენდა ნეგატიურ დამოკიდებულებას ამერიკული ჰეგემონიის მიმართ და სურდა საერთაშორისო სისტემა ერთპოლუსიანობიდან (აშშ -ის დომინირება) გადაექცია მრავალ პოლუსიან სისტემად (რუსეთის დომინირება). დასავლეთის ყოველი ნაბიჯი (დემოკრატიზაცია, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება), ყოფილ სოციალისტურ და განსაკუთრებით პოსტ საბჭოთა სივრცეში, რუსეთის მიერ აღიქმებოდა, როგორც რუსეთის დასუსტების მცდელობა. რუსეთის მმართველი ელიტები ვერ ეგუებოდნენ თავიანთი ქვეყნის სტატუს ქვოს დაკარგვას გეოსტრატეგიულ მეტოქეობაში. 90-იანი წლების შუა ხანებში საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა ჩამოაყალიბა მრავალპოლარული სამყაროს დოქტინა, რომელიც ქვაკუთხედად დაედო რუსეთის საგარეო პოლიტიკას

და ითვალსიწნებდა უფრო მეტი „პოლუსის“ გაჩენას საერთაშორისო სიტემაში, აშშ-ს დასუსტებისა და მისი სტატუსის დევალავციის გზით და ევროპის სკუთარ მხარეზე გადაბირების მცდელობით. (ბორშევსკაია, 2023)

თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ 1996 წლიდან,როცა ევგენი პრიმაკოვი საგარეო მინისტრის პოსტს იკავებს, პოზიციონირებას იწყებს არა როგორც ცივ ომში დამარცხებული და დასავეთისადმი ლოიალურად განწყობილი რუსეთის საგარეო სქმეთა მინსიტრი, არამედ, როგორც საბჭოთა კავშრის მემკვიდრე მზარდი ძლიერი სახელმწიფო,რომელსაც სურვილიც და პოტენციალიც აქვს არსებული პოსტბიპოლარული საერთაშორისო სისტემა შეცვალოს და მასში არა მარტო აშშ არამედ სხვა ძალებიც წარმოაჩინოს უძლერეს ქვყნებად. პულტიპოლარიზმისკენ რუსეთის მისწრაფების ხაზი გააგრძელა ვლადიმერ პუტინმაც, რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთის არამარტო სამხედრო-თავდცვითი უნარიანობის გაძლიერება,არამედ ეკონომიკურიც და ამ მიზნების მიღწევისათვის შავი ზღვის რეგიონი ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა.

ცივი ომის დროს გეოპოლტიკურ სიტუაიციას შავი ზღვის რეგიონში მხოლოდდ ორი აქტორი განსაზღვრავდა, ნატოს წევრი თურქეთი და საბჭოთა კავშირი. ცივი ომის შემდეგ როცა ბულგარეთი და რუმინეთი ნატოს წევრები გახდნენ, ხოლო მოგივანებით საქართველო და უკრაინამაც მოინდომა ჩრდილოატლანტიკურ კავშირში შესვლა, ეს იყო სიგნალი რუსეთისთვის,რომ შავი ზღვის რეგიონში არსებული სტატსუქვო რუსეთის დაკნინების მიმართულებით იცვლებოდა. რუსეთი კვლავ ინარჩუნებდა სანაპირო ზოლს შავ ზღვაში, მაგრამ უკვე აღარ დომინირებდა რეგინში და ეს რეალობა ნიშნავდა არამარტო ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი დაკარგვას კრემლისთვის, არამდ შავ ზღავზე სრული კონტროლის დაკარგვასაც.მოსკოვისთვის რეგიონში ყალიბდებოდა ახალი ძალთა ბალანსი და ახალი რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურა, რომელსაც შეეძლო ან შეემცირებინა კრემლის გავლენა შავ ზღავზე ან

მთლიანად განედევნა ეს სახელწიფო შავი ზღვის მნიშვნელოვანი სრუტეებიდან და კომუნიკაციებიდან. (Nettels,2022)

ნატოს გაფართოებამ არა განაპირობა, არამედ დააჩქარა რუსეთის მხრიდან შავ ზღვაზე ექსკლუზიური კონტროლის აღება. ალბათობამ, რომ კრემლს შეეძლო გავლენა დაეკარგა ისეთ აკვატორიაზე,რომელიც რუსეთს არა მარტო შავი ზღვის რეგინში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც უკარგავდა დომინაციისა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის პერსპექტივას, პუტინს აფიქრებინა, რომ საზღვაო ძლიერების გარეშე, რუსეთის ძლიერ სახელწიფოდ წარმოჩენა საერთაშორისო სისტემაში ვერ მოხერხდებოდა. ამ სტაატუსის მოპოვება კი შავ ზღვაზე კონტროლის გარეშე შეუძლებელ იქნებოდა.

ისტორიულად, რუსეთი არსოდეს ითვლებოდა საზღვაო ძლიერ სახელმწიფოდ ევროპაში,როგორც პორტუგალია, ესპანეთი, და ბრიტანეთი, თუმცა ისიც ფაქტია,რომ მას შემდეგ, რაც პეტრე პირველმა დაიწყო ზღვებზე გასასვლეელად ომების წარმოება მაგ პოლტიკის გატარებისას დაიმკვიდრა რუსეთმა ძლიერი იმპერიის სტატუსი იმდორინდლ ევროპაში. (Мироненко 2021)

პეტრეს მმართველობამდე უზარმაზარი ტერიოტრიების მიუხედავად, რუსეთი კონტინენტური იმპერიის, ანუ თელულოკრატიის მოდელით ფართოვდბოდა. ასეთი იმპერიები სხვა ტერიტორიების ანექსიის ხარჯზე იზრდებიან, ავრცელებენ ამ ტერიტორიაზე საკუთარ კანონმდბლობას, ენას, იდეოლოგიას, რელიგიასა და კულტურას. რუსი ისტორიკოსი მირონენკო აღნიშნავს,რომ პეტრე პირველამდე, რუსეთი მართლაც კონტინენტური იმპერიად ვითარდებოდა და აღმოსავლეთით შემოერთებული ტერიტორიებზე (ყაზანი, ასტრახანი, ციმბირი) ავრეცელბდა და ამკვიდრებდა რუსულ კანონმდებლობასა და ნორმებს, სწორედ პეტრეს პოლიტიკის წყალობით გადავიდა რუსეთი საზღვაო იმპერიის მოდელზე. განსხვავებით კონტინენტური იმპერიებისგან, საზღვაო იმპერიების მმართველობა ეფუძნება საზღვაო კოლონიების მართვას. მეტროპოლია (იმპერიის თავდპირველი ტერიტორია)

დიდ წნეხსა დაა ზეწოლას არ ახდნს ახლად ანექსირებულ ტერიოტირებზე, არამედ პოლიტიკური დომინაციისა აღიარებითა და ბუნებრივი რესურსების ეექსპლუატაციით კმაყოფილდება). (ibid) პეტრეს მიზანი იყო არა იმდნად ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების დაპყრობა და ადგილობრივი ხალხის ასიმილირება, არამედ ჩრდილეოთიდან და სამხრეთიდან რუსეთის საზღვრებთან მდებარე ზღების გაკონტროლება. ამიტომ მის საგარეო პოლიტიკაში იმთავითვე მოექცა ყურადღების ცენტრში ბალტიის ზღვაზე, კასპიისა და შav ზღვაზე გაბატონების ამოცანები. თავისი მართველობის დროს პეტრემ გაიმყარა პოზიციები ჩრდილოეთით, ბალტიის ზღვაზე, ხოლო სამხრეთით ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იმპერატორმა ეკატერინემ ითავა. მან ოსმალეთის იმპერიასთან ომები აწარმოა და შავ ზღავაზე გასასვლელი მოიპოვა,რომელიც იმპერატორს საშუალებას აძლევდა გაეკონტოლებინა კავკასია,აღმოსავლეთ ევროპა, ბალკანეთი და მოეპოვებინა ხმელთაშუა ზღვაში გასავლის შესაძლებლობა.

შავ ზღვზე გავლენის აღება არ ყოფილა რუსებისთვის მარტივი პროცესი. მას რუსეთსა და თურქეთს შორის გაჭიანურებული ომები ახლდა თან. რუსეთმა მართალია ნელა, მაგრამ თანმიმდევრობით მოიპოვა უპირატესობა რეგიონში და ეტაპობრივად ათმობინებდა ოსმალეთს ტერიოტირებს. პირველი მნიშვნელოვან ხელშეკრულება გაფორმა 1774 წელს სოფელ ქუჩუკ კაინარჯში. ამ ხელშეკრუელბით რუსეთს გადეცა შავი ზღვის სიმაგრეები: კინბრუნი, ქერჩი და იენიკალე. ასევე რუსეთის ფლოტს ნება მიეცა ესარგებლა შავ ზღაში ნაოსნობასა და სრუტეების გამოყეენებაზე. ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა მიენიჭა და ასევე გაიზრდა რუსეთის ვაჭრობა შავ ზღავზე და მისი სამხდრო სტრატეგიული პოზიციები გამყაედა. ეს მხოლოდ დასაწყსი გახდა რუსეთისთვის შავ ზღავზე გაძლიერების პროცესებისთვის. მეორე მნიშვნლოვანი ზავი ოტომანთა იმპერიასთან რუსეთმა გააფრომა 1829 წელს, რომელიც ადრიანოპოლის სამშვდობო ხელშეკრლებითაა ცნობილი. რუსეთის კონტოლ ქვეშ გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო დღევანდელი ნოვოროსიისკი და ფოთი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება რუსეთისთვის აღმოჩდა 1833 დადებული უნკიარ ისკელესიის ხელშეკრულება. (The Treaty of Hünkâr İskelesi) რომელიც ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის დაპირისპირებას კი აღარ ასხავდა, არამედ პირიქით, მოკავშირეობას. ოსმალეთის სულთანს აუჯანყდა ეგვიპტის მმართვლი მუჰჰამად ალი ფაშა, სულთანი მასთთან ბოძოლაში მარცხდებოდა. მან დახმარებისთვის მიმართ ავსტირიას, დიდ ბირტანეთსა და საფრანგეთს, მაგრამ ევროპულმა მონარქებმა უარი უთხრეს სულთანს ჩარევაზე, მაშინ როცა რუსეთის იმპერიამ სულთანს დახმარება აღოუჩინა. ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტი ოსმალეთსა და რუსეთს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას ითვალსიწინებდა, თუმცა მადლიერმა სულთანმა ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტის მიხდვით ევროპულ სამხედრო ხომალდებს დარადანელის სრუტე დაუკეტა, ხოლო რუსეთს ნება დართო შეუზღუდავად გამოეყენებინათ სრუტე,როცა რუსეთის იმპერიას ეს დასჭირდბოდა. რუსეთისთვის ხელსაყრელი აღმოჩდა ასევე 1936 წელს ჩატარებული მონტრეს კონფერენცია, რომლიც შვი ზღვის სრუტეების რეჟიმს მიეძღვნა დაა მას ესრებოდა საბჭოთა კავშირი, თურქეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და იაპონია. თურქეთს აღუდგა სრუტეების კონტორლის უფლება, რომლიც მან დაკარგა 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით, მოლაპარაკებები დაიწყო 1936 წლის 22 ივნისს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში და თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა. მოლაპარაკებების პროცესში გამოიკვეთა სამი ძირითადი მიდგომა: ბრიტანელები სრუტეებზე მოძრაობის იმ პერიოდისთვის არსებული წესების შენარჩუნებას ითხოვდნენ, რომელიც ერთა ლიგის საერთაშორისო სრუტეების კომისიის წინასწარ ინფორმირებას და სამხედრო გემების ადვილად გატარებას გულისხმობდა; ანკარის ძირითადი ინტერესი იყო მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ, რომ სრუტეებს თურქული მხარე აკონტროლებდა, ხოლო საბჭოთა კავშირი აბსოლუტურად თავისუფალი გადაადგილების რეჟიმის დაწესებას ითხოვდა. მოსკოვის ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მიდგომა განპირობებული იყო ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით

ექსპანსიის სურვილით. საბოლოო ჯამში, იმისთვის, რომ შეთანხმებულიყვნენ, ყველას მოუწია რაღაცის დათმობა. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თურქეთის სასარგებლოდ დათმეს თავიანთი პირველადი პოზიცია, რათა მოახლოებულ მეორე მსოფლიო ომში ანკარა გერმანია-იტალიის მხარეს არ გამოსულიყო. საბჭოთა კავშირმა კი შეძლო კონვენციაში იმ მუხლის შეტანა, რომლის ძალითაც ერთმანეთისგან საგრძნობლად იმიჯნება შავი ზღვისა და არაშავიზღვის ქვეყნების უფლებები სამხედრო გემების გადაადგილებისას. (ბატიაშვილი, 2018)

ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირისთვის ძალთა ხელსაყრელი ბალანსი მიღწეული იქნა 1946 წელს თურქეთის სრუტის კრიზისის დროს. ამ კრიზისის დროს იოსებ სტალინმა მოსთხოვა თურქეთს საბჭოთა გემების გავლის უფლება თურქეთის სრუტეში, იმუქრებოდა ომით თუ თურქები უარს იტყოდნენ. თურქეთი დათანხმდა და საბჭოთა გემებს სრუტეების გამოყენების საშუალება მისცა, თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თურქეთი შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ალიანსს, რათა გარანტირებულიყო მისი ტერიტორიული მთლიანობა და თავიდან აერიდებინა მომავალში საბჭოთა კავშირი მხრიდან ზეწოლა, კონფლიქტები სრუტეებსის გამო ამ ორ სუბიექტს შორის აღარ მომხდარა. მთელი ცივი ომის განმავლობაში თურქეთი აგრძელებდა კონტროლს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და თურქეთის სრუტეებზე, როგორც ამას ექვსი საუკუნის განმავლობაში აკეთებდა. ხოლო საბჭოთა კავშირი და მისი თანამგზავრი სახელმწიფოები აკონტროლებდნენ ფაქტიურად დანარჩენ სანაპიროს. ეს ფუნდამენტურად ნიშნავდა, რომ რეგიონში სტრატეგიულ ძალთა ბალანსს წყვეტდა მხოლოდ ორი აქტორი- ანკარა და მოსკოვი. საბჭოთა კავშირმა შეინარჩუნა საზღვაო ძლიერი სახელწიფოს სტატუსი და ამისგარდა უპრობლემოდ ქონდა წვდომა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეც.(*Celac E; Dungaciu D; George SCUTARU; Scutaru G; Sumon E; 2022)*

ცივი ომის დასასრული და რუსეთის სწრაფვა ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში.

კრემლისთვის ძალთა სტაბილური ბალანსი დაიმსხვრა ცივი ომის შემდეგ, როცა თურქეთთან ერთად შავ ზღავზე სხვა დამოუკიდებელი ქვეყნებიც გაჩდნენ. რუსეთმა მართალია შეინაარჩუნა შავ ზღვის სანაპირო ზოლი მგრამ აშკარად აღარ დომინირებდა რეგიონში. დასვლთიდან კონკურენციას უწევდა ნატო, რომლისკენაც ბულგარეთი და რუმინეთი მიილტოვოდა, ხოლო თვითონ პოსტსაბჭოთა სივრცეში უკრაინა,რომლის სურვილი ჩაენაცვლებინა რუსეთის გავლენა შავ ზღავზე, სულ უფრო აშკარა ხდებოდა.

ამას ისიც ერთვოდა, რომ 1990-2000 იან წლებში რუსეთის საზღვაო ფლოტმა გაიარა სრული დეგენერაცია. მწყობრიდან იყო გამოსული საზღაო გემები და აღჭურვილობა, თვითონ პერსონალი დემორალიზბული და გატეხილი. ქვეყანაში გამეფებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი პირდაპირ აისახა ქვეყნის საზღვაო ფლოტზეც, რაც პეროსონალის ფსიქოლოგიურ მდოგმარეობასა და ფლოტის საბრძოლო პოტენციალზეც მოქმედებდა. (Monagan & Connoly, 2023)

ხელისფლებაში მოსვლისთანავე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა,რომ ქვეყანა საზღავო ძლიერი ქვყნის სტატუსს უნდა დაბრუნებოდა. რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის საზღვაო დოქტრინაში (პირველად შემუშვდ 2006 წელს და ცვლილები განიცდა 2009, 2012,2019,2023 წლებში) გაწერილია რუსეთის ამოცანები საზღვაო ძლიერი სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის. პუტინმა გააძლიერა გემთმშენებლობა და სამხედრო საზღვაო მრეწველობა. 2006 წლის საზღვაო დოქტრინაში ჩაიწერა,რომ რუსეთის საზღვაო ფლოტი მიზნად ისახავს უპასუხოს უსაფრთხეების საკითხებს, განახორციელოს სტრატეგიული შეკავება, და სამხედრო მუქარებთან გამკლავება. ბრიტანელი მკევალარები მონაგანი და კონოლი მიიჩნევენ,რომ ბევრისთივს რუსეთი არ აღიქმებოდა ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ, თუმცა რუსეთის საზღვაო პოტენცილის გადაფასება არშეიძლებოდა, რადგან ზღვა

სულ მეტად ხდებოდა რუსეთის პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხდრო გავლენის ბერკეტი. ((Monagan & Connoly, 2023)

იმისთვის,რომ შეენარჩუნებინა შავ ზღავში გავლენა,რუსეთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ცივი ომის შემდგომ წარმოქმნილი საერთაშორისო წესრიგის, კერძოდ ამერიკის და მისი პარტნიორი დასავლეთის მზარდი გავლენის შეკავება რეგიონში. გაცილებით უფრო მომგებიანი იყო მოსკოვისთვის ტრადიციულ მეტოქე ანკარასთან გაენაწილებინა შავ ზღვაზე კონტროლი, ვიდრე დაეშვა ახალი მონაწილეების გამოჩენა და მოძლიერება, ამიტომ ამ სტრატეგიის განსახორცელებლად კრემლისთვის საჭირო გახდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- შავი ზღვის ზონაში ნატოს გაფართოების შეკავება
- სრუტეებზე კონტროლი
- უკრაინის ჩელენჯერ სახელმწიფოდ არ დაშვება შავ ზღვაში, რომელიც დროთა განმავლობაში მოსკოვის გავლენას შავ ზღვაზე სათუოს გახდიდა.

ჩემი აზრით, რუსეთს რომ განეხორციელებინა დასახული მიზანი ორ სტარეტგიას მიმართა: პირველი, დასაველთის გავლენის შეკავება, თავად მათთან ენერგო პოლიტიკაში თანამშრომლობის გზით და მეორე, უკრაინის, როგორც ტრანზიტული ქვეყნის პოტენციალის სრული განადგურების გზით. ამიტომ ყველა „ენერგო პროექტი“ რომელსაც კრემლი მხრას უჭერდა და ლობირებდა, თავისთავში აერთიანებდა არა მარტო გეოეკონომიკურ, არამედ გეოსტრატეგიულ ინტერესებსაც. იქნებოდა „ნაბუქოს“ პროექტის ჩავარდნა რუსეთის ლობირებით და მისი ჩანაცვლება სამხრეთის ნაკადით,რომელიც შემდეგ ბალკანეთის ნაკადად ტრანსფორმირდა, თუ ჩრდილოეთის ნაკადის მშენებლობა.

ის რაც დასავლეთისთვის „უწყინარი“ „კომერციულად მომგებიანი“ თუ „პრაგმატული“ პროექტები იყო, კრემლისთვის კარგად გამიზნული, გეოპოლტიკური და გეოეკონომიკური სტრატეგიები,რომელიც რეალურად ნატოს წევრ და

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დისონანსის შეტანისა და განხეთქილების გაჩენის შესაძლებლობებს ისახავდა მიზნად. ასეთი მიზანი ამოძრავებდა კრემლს მაშინაც, როცა ბალკანეთის ნაკადის მეშვეობით სერბეთში, ბულგარეთში, ჩრდილო მაკედონიასა და უნგრეთში გაზის მიწოდებას და სლოვაკეთის გავლით ავსტრიის გაზით მომარაგებას ისიახავდა მიზნად და ასევე ჩრდილო ნაკადიც,რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ფაქტიურად ბალტიის სახელწიფოების გვერდის ავლით დაიწყეს.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა რეგიონის კონკურენტებს,საქართველო მისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმაოდგენდა, ქვეეყნუს მწირი სამხედრო ესაძლებლობებისა და ეკონომიკური პოტენციალის გამო, ხოლო რაც შეეხება უკრაინას, მის ჩამოშორებას და განეიტრალებას რუსეთი შემტევი და აგრესიული პოლტიკით შეეცადა. საბჭოთა კავშრიის დაშლის შემდეგ უკრაინა რუსეთისთვის კონკურენტ ქვეყნად არა მარტო იმიტომ იქცა, რომ მის ტერიტორიაზე ნავთოგადამამუშავებელი, საინჟინრო და ენერგეტიკული ცენტრები და მდიდარი სასოფლო სამეურნეო ტერიტორიები იყო განლაგებული, არამედ დიდი და იმ დორისათვის საკამოდ თანამედროვე პორტების არსებობის გამოც. ამ პორტების გამართულობამ მისცა ზუსტად უკრაინას საშუალება დაეკავებინა წამყვანი პოზიცია ტვირთების გადაზიდვაში და სატრანიტო ფუნქციების განხორციელებაში. რაც რუსეთს დიდ დისკომფორტს უქმნიდა და კრემლი ცდილობდა იმთავითვე უკრაინის ტერიტორიულ საზღვრებში გარკვეული ტვითნებური ცვლილებები შეეტანა.

საბჭოთა კავშრიის დაშლის შემდეგ, აქტუალური გახდა შავზ ღვაში საზღვრების დელიმიტაციის საკითხი რუსეთსა და საქართველოს, უკრაინასა და რუმინეთს და უკრაინა რუსეთს შორის. ამ ორის შემთხვვეაში პრობლემას წარმოადგენდა საზღვრების დემარკაცია აზოვის ზღვის აკვატორიაშიც. უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იყო ქერჩის სრუტის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აზოვსა და შავ ზღვას. თავად რუსი ექსპერტბი აღნიშვაენ რომ უკრაინისმ ხარეზე აღმოჩდა მნიშცნელოვანი საპორტო კომპლექსები: ქერჩის

საზღავო თევზსაჭერი პორტი, ყირიმის პორტი, კამიშ-ბურუნის პორტი, ხოლო რუსეთის მხარეს აღმოჩდა განვითარებად პორტი „კავკაზი.“(Жильцов.,2019)
სასაზღვრო დავებს მიება შავი ზღვის ფლოტის საკითხიც,რომელიც სევასტოპოლში იყო განლაგებული.მაშინდელმა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა 1991 წლის 30 დეკემბერს უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედროები, მათ შორის სევასტოპოლის ფლოტი უკრაინის შეარაღებულ ძალებად მიიჩნია და ერთგულებაზე დააფიცა. კრავჩუკს მიაჩნდა, რომ სამხედრო შენაერთებზე კონტროლი სუვერენიტეტის გარანტია იყო. საპასუხოდ, 1992 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ფლოტის საკუთრების დადგენილება გამოსცა.

1995 წელს უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და ელცინი შეთანხმდნენ ფლოტი შუაზე გაეყოთ. რუსეთის ნაწილს სევასტოპოლში ყოფნისთვის იჯარა უნდა გადაეხადა$97 მლნ-ი წლიურად, ხოლო რუსეთის ფლოტის განთავსების ვადად განისაზღვრა 2017 წელი. დროის ამოწურვის შემდეგ მხარეებს უნდა ემსჯელათ ვადის გაგრძელბის თაობაზე. რუსეთს ეძლეოდა ყირიმში არაუმეტეს 25 000 სამხედროსა და 132 საბრძოლო გემის განლაგების უფლება.(Жильцов.,2019) რუსული ფლოტის განლაგების საკითხი დღის წესრიგში უკრაინაში პროდასავლური ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დადგა და განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. იმავე წელს გადაწყდა, რომ რუსული ფლოტის ყოფნის ვადები არ გადაიხედებოდა, თუმცა 2010 წელს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ხარკოვის შეთანხმებით ფლოტის ყოფნა 25 წლით გაახანგრძლივა, რუსეთში, თუმცა უკვე ამ პერიდიდან რუსეთის პოლტიკურ ელიტას მიაღებინა გადაწყვეტილება რომ მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტების პირადი გადაწყვეტილებების იმედად რუსულ ფლოტის სევასტოპლში განთავსების საკითხი ვეღარ დარჩებოდა და საჭირო იყო ამ საკითხის სხვა მიდგომით მოგვარება. (Atland, 2021)

ფლოტთან ერთად რუსეთ- უკრაინის ურთიერთობებში უმწვავეესი ადგილი დაიკავა ქერჩის სრუტის ექსპლუატაციის საკითხმაც. სრუტეებს ყოველთვის დიდი

მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რამდენადაც ისინი რუსეთის ე.წ აღმოსავლეთის საკითხის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. რუსეთის საზღავო ვაჭრობის ნახევარზე მეტი სწორედ სრუტეების მეშვეობით ხორციელდება და ამიტომ მათ გეოსტრატეგიულთან ერთად გეოეკნომიკური მნიშვნელობაც აქვთ.

ცივი ომის შემდეგ შავი ზღვის არეალში დაკაშირებულ საკითხებზე რუსეთი ბევრ პრობლემას აწდებოდა ჯერ თურქეთის სახით რომელიც ერთი მხრივ ხან უზღუდავდა რუსეთს ნავთობის გადაზიდვას სრუტეების გავლით, ხან მზაობას გამოთქამდა ეთანამშრომლობა ახალი გზასადენებისა და ნავთობსადენების მშენებლობაში, შემთხვევაში, თუ თურქეთი იქნებოდა მთავარი დამაკავშირებელი ჰაბი, სააიდანაც რუსული გაზი გადანაწილდებოდა ევროპის ქვეყნებში. სრუტეების გამოყენებაზე, რუსეთს უკრაინის მხირდანაც ექმნებოდა პრობლემა,როცა საქმე მიდგებოდა აზოვის ზღვისა და ქერჩის სრუტის ექსპლუატაციაზე. ქერჩის სრუტე ერთადერთი საკომუნიკაციო ღერძია, რომლიც შავ ზღვას აზოვის ზღვასთან აკავშირებს, ამიტომ მისი კონტროლი სრუტის მფლობელ ქვეყანას აძლევს არამარტო ეკონომიკურ სარგებელს, არამედ მესამე ქვეყნების ხომალდების გადაადგიელბის კონტორლის ბერკეტებსაც. საბჭოთა კავშრის დაშლის შემდეგ ეს სრუტეც უკრაინის სახელმწიფო ტერიტორიების შემადგენელი ნაწილი გახდა და ცხადია რუსეთის ამბიციებს, გამხადრიყო ზღებზე დომინანტი ძალა, დიდ პრობლემას უქმნიდა.

რუსეთ უკრაინის პირველი დაპირისპირება, რომელიც დღესდღეობით ყურადღების მიღმა დარჩა რუსეთ უკრაინის ომის გამომწვევი მიზეზების დისკურსში, არა ბუქარესტის 2008 წლის სამიტის შემდეგ მოხდა, არამდედ 2003 წელს და ცნობილია ტუზლას კუნძულის კონფლიქტად. კონფლიქტს წინ უძღოდა უკრაინასა და რუსეთს შორის არსებულ სადაო ქერჩის სრუტეში რუსეთის მხრიდან კაშხლის მშენლობის დაწყება უკრაინულ მხარესთან შეთანხმების გარეშე. უკრაინამ რუსეთი დაადანაშაულა კუნძულის ანექსიის მცდელობაში, რადგან კაშხლის მშენებლობის დასრუელბის შემდეგ კუნძული იქცეოდა რუსეთის კონტროლირებადი არეალის ნაწილად და რუსეთი გააკონტროლებდა სანაოსნო

არხს. მართალია რუსეთის ოფიციალური არგუმენტი ეკოლოგიურ საკითხებს უკავშრიდებოდა და ეროზიის შედეგების აღსაკვეთ ღონისძიებად კვალიფიცირდებოდა,უკრაინული მხარე დარწმუნებული იყო რომ მთავარი მიზეზი გეოპოლტიკური იყო და ითვალსიწნებდა რუსეთის თავის არიდებას გადასახადისთვის,რომელიც რუსეთ ეკისრებოდა ქერჩის სრუტის გადაკვეთსითვის და რომელიც უკრაინის ტერიტორიულ წყლად ითვლებოდა საბჭოთა კავშრის შემდეგ ააღიარებულ საძღვრებში. რუსეთი მუდმივად ზეწოლას ახდენდა კიევზე,რომ მქერჩის სრუტე ეღიარებინა ორივე ვეყნის შიდა წყლად. უკრაინა ამაზე უარს აცხადებდა და 2003 წელს, როცა მოსკოვმა მისი ნებართვის გარეშე კაშხლის მშენებლობა დაიწყო, კიევმა ტუზლაზე ჯარები განალაგა. დაიწყო სიტუაციის სამხედრო ესაკლაცია.

2003 წლის 30–31 ოქტომბერს დაიწყო მოლაპარაკებები უკრაინასა და რუსეთს შორის. სიტუაცია ჩაწყნარდა. კაშხლის მშენებლობა შეჩერდა,თუმცა რუსეთის სტრატეგიაში მთავარ მიზნად იქცა ერთხელ და სამუდამოდ უკრაინასთან შავ ზღვაში კონკურენციის საკითხის გადაწყვეტა რუსეთი სასარგებლოდ და ეს მიზანი კრემლმა 2014 წლსი ყირიმის ანექსიით განახორციელა.

ყირიმის ანექსიის საპასუხოდ უკრაინის პოლიტიკა დაებალანსებინა რუსეთის გავლენა შავ ზღავზე უფრო მზარდი გახდა. კიევმა თანდათან დაიწყო დამოუკიდებელი ნაბიჯების გადაგდმა ამ მიმართულებით და შავ ზღავზე დასავლური აქტორების გაძლიერებით ცდილობდა მომავალი საფრთხეები თავიდან აერიდებინა. ასეთი მცდელობებიდან რუსეთისთვის ყველაზე მიუღებელი ე.წ ბალტიისა და შავი ზღვის შეერთების პროექტი აღმოჩდა, რომელიც რეალურად ჰიპოტეტურ ხასიათს ატარებდა, თუმცა რუსეთისთვი მაინც საფრთხის წყარო იქნა განხილული.

განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია 2019 წელს, როცა უკრაინის პრემიერმინსიტრმა ალექსანდრ გონჩარუკმა განაცხადა რომ უკვე დაიწყო რამოდენიმე

ვარიანტის შემუშავება შავი და ბალტიის ზღვების დასაკავშირებლად. დაშორება ამ ორ ზღავს შორის 1,5 ათასი კილომეტრია,რომელიც შავ ზღას ევროპის კონტინენტთან აკავშირებს. შავი ზღვა აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, ბალტიის ზღვა კი ჩრდილო ევროპის ნაწილში. ორივე ზღვა გაყოფილია რამოდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიით. აქედან ყველაზე მოკლე მანძილი დასაკვშირებლად პოლონეთსა და უკრაინას შორის მდებარეობს. კიევი ამ პროექტში ბელარუსის ჩართულბასაც გულისხმობდა. დამაკავშირებელი გზების სიგრძე იქნებოა 2 ათასი კილომეტრი 7 ქალაქის გაყოლებით: გდანსკი ვარშავა(პოლონეთი), ბრესტი და პინსკი (ბელაუსი, კიევი, დნეპროპეტოვსკი და ოდესა (უკრაინა).

ეს პროექტი უკრაინისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის იყო. უკრაინელი გეოგრაფ ეკონომისტი დერგაჩოვი აღნიშნავდა, რომ კიევმა დამოუდკიებლობის მოპოვების შემდეგ თანდათან დაკარგა სატრანპსორტო უპირატესობები,რომლებიც მას ჰქონდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და საჭიროა ამ უპირატესობების რეალიზიაცია. „ჯერ კიდევ 1990 იანებში აღინიშნებოდა რომ სატრასპროტო სფეროში, უკრაინა მთელ ეროპაში მოწინავეა თავიის ტრანზიტული პოტენციალითა და ფინქციებით. ჩვენ არ გვაქვს ბუნებრივი ბარიერები, ან მაღალი მთები, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი საპრტანზიტო პოტენციალსი ნახევარზე მეტი დავკაეგეტ. რუსეთთან ჩვენი საზღვრების 2/3 დაკტეილია, გავქს პრობლეემბი აზოვის ზღვაზე წვდომასთან, ასევე შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამიტომ წყლის გზების განვითარება გადაწყვეტდა უკრაინის სატრანზიტო მნიშნლობას დადებითად. (Дергачев, 2019ინტერვიუ)

კიევის პოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექიტორის პოგრებენსკის აზრით, შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის კავშირი არამარტო ეკონომიკური, არამედ პოლტიკური დატვირთვისაა. „ეს ამბიციური ინფრასტურქურულ პროექტია,რომეთლიც ხელს უწყობს პოლონეთს, ბელარუსსა და უკრაინას შორის ახალი ფორმატის ანამშრომლობის ფორმირებას. ერთადერთი პრობლემა ამ პროექტის

განხორციელებისა ფინანსებია, რადგან ასეთი კომუნიკაციების გაყვანა ძვირი ჯდება. უკრაინას, ბელარუსსა და პოლონეთს აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სულ მცირე 10 მილიარდი ევრო სჭირდებათ. ასეთი თანხის მოძიება მხოლოდ ევროკავშრიის დაფინანსებითაა შესაძლეებელი, მაგრამ დღეს რთულია იმის თქმა ბრიუსელი ნამდვიად არის დაინტერესებული თუ არა მსგავსი კომუნიკაციების დასპონსორებით. (Погребенский 2019 ინტერვიუ)

მუხედავად პორექტის ბუნდოვანებისა რუსულ საქსპერტო წრეებში ამ საკითხისადმი შეშფოთება მაინც გაჩდა. ოკარას აზრით ნებისმიერი საუბარი ზღვების გაერთანებასთან დაკავშირებით მუქარის შემცელია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის 3 მიზეზიდან გამომდინარე: ამ პროექტმა შეიძლება დააჩქაროს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესი, თუ პოლონეთის,უკრაინისა და ბელარუსის ტანდემს შეუერთდება ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთიც.

მეორე, მიუხედავად იმისა რომ ზღვების დაკავშირების იდეა ჯერ კიდევ 20 საუკუნის დასაწყისში არსებობდა და ერთობ პოპულარულია ბელარუსში, უკრაინასადა პოლონეთში, რუსეთისვის ეს პერპექტივა მტრულად აღიქმება,მისი გეოპოლიტიკური, და გეოეკონომიკური ინტერესებიდაან გამომდიანრე.უფრო მეტიც, მას ეგსიტენციალურ საფრთხედ აღიქვამს. მესამე თუ ასეთი პროექტი ამოქმედდა, ვარშავის, კიევისა და მინსკის გაერთიანებამ შეიძლება რუსეთის სავაჭრო და სატრანზიტო პროექტებიდან მოსკოვის სრულ იზოლაცია გამოწივიოს. ბევრი რამე ვაშინგტონის პოზიციაზეცაა დამოკიდებული. ლიეტუვა და პოლონეთი ისედაც ანტი რუსული განწოყბებით გამოირჩევიან, თუ ვაშინგტონიც ღიად დაუჭერს ამ მპროექტს მხარს,ეს ნიშნავს,რომ რუსეთს გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური პროცესებიდან სრული გარიყვა ემუქება. (Окара 2019. ინტერვიუ) აქედან გამომდინარე კიევის,როგორც პოტენციური მეტოქის გზიდან ჩამოშორება და სრული კონტროლის დამყარება შავზღვაზე თურქეთთან ტანდემში, რუსეთის უმნივნელოვანესი ამოცანა

გახდა. ყველა ამ ფაქტორის გათვალსიწინებით უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყება მხოლოდ დროის საკითხად იქცა პუტინისთვის.

დასკვნა

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთი შეშფოთებული იყო, რომ მოსკოვი აღარ აღიქმებოდა როგორც სუპერძალა და აშშ გახდა ჰეგემონი საერთაშორისო სისტემაში. რუსეთს არ სურდა შეგუებოდა ცივი ომის შემდგომი სტატუსკვოს, ამიტომ კრემლი ყოველთვის კონკურენციას უწევდა ვაშინგტონს ამერიკის ჰეგემონიის დამკვიდრებას საერთაშორისო სისტემაში და მრავალპოლუსიანი სამყაროს შექმნის ეგიდით, ცდილობდა ომ ძლიერი პოლუსის სტატუსის დაბრუნებას,რომელიც მას ცივ იომის პერიოდში გააჩდა. ამ სტატუსის დასამკვიდრებლად საჭირო იყო არამარტო ხმელეთზე ძლიერი სახელმწიფოს იმიჯის შენარჩუნება, არამედ ძლიერების მოპოვება ზღვებზეც,რომელიც უზრუნველყოფდა კრემლსითვის გავლენის სფეროების შენარჩუნებასაც და ეკონომიკური სიძლიერის მოპოვებსაც. შავი ზღის რეგიონი ამ კონკურენციაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არეალად იქცა.

შავი ზღვის რეგიონი რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური, არამედ გეოეკონომიკური თვალსაზრისითაც. ვინაიდან ამ ზღვაზე კონტროლი რუსეთს შესაძლებლობას აძლევს იქონიოს გავლენა ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთზე. ამასთანავე შავი ზღვა რუსეთისთვის მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელი არტერიაცაა, შესაბამისად მისი კონტროლის გარეშე, რუსეთსითვის ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება და შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მთავარი ორი ამოცანის განხორციელება გახდა. ერთი მხრივ, შავ ზღვაზე გავლენის შენარჩუნებისათვის გარე აქტორების შეკავება, ხოლო მეორე მხრივ, თვითონ რეგიონში ახალი ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს წარმოქმნის არ დაშვება. ასეთ კონკურენტ სახელმწიფოდ კი კრემლისთვის უკრაინა იქცა,რომელიც

ცივი ომის დასრულების შემდეგ სულ უფრო მეტად ამჟღავნდებდა კრემლზე დამოკიდებულების შემცირებისა და დამოუკიდებელი პოლტიკის წარმოების სურვილს. გამომდინარე აქედან, უკრაინის დასუსტების გარეშე კრემლის ამოცანა ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში, შეუძლებელ მისიად გარდაიქმნებოდა.

ბიბლიოგრაფია

ბატიაშვილი ზ. (2018) მონტრეს კონვენცია და მისი მნიშვნელობა.Georgian Foundation for Strategic and Inernational Studies. ხელმისაწვდომია https://gfsis.org.ge/files/my-world/39/zurab_batiashvili.pdf ბოლო წვდომა 2024 წლის 5სექტემბერი

Celac E; DungaciuD; George SCUTARU; Scutaru G; Sumon E; (2022) Russian Policy in the Black Sea Region – continuity, change and direct and indirect military and political implications of the Russian war against Ukraine. ხელმისაწვდომია https://www.newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2022/11/NSC-NUPI-Russian-Policy-in-the-Black-Sea-Region.pdf ბოლო წვდომა 2024 წლის 11 აგვისტო

Monagan E.; Connoly R; (2023) Moscow's Maritime Strategy: Establishing Russia as a Leading Seafaring State. Wilson Center. Kenann Institute #83 June

Nettels A.C. (2022) The Black Sea thread in Russian Foreign Policy and how the the United States can respond. Jams, Vol. 13, #2 Marine Corps University. Quantico. Virginia

Polianskii M. (2024) Russian Foreign Policy Research and War in Ukraine: Old Answers to New Questions? *Post-Communist Studies* 57 (2): 156–172.

Stronski P. (2021) What is Russia doing in the Blak Sea? Carnegie Endowment for Inernational Peace. May 20. ხელმისაწვდომია https://carnegieendowment.org/posts/2021/05/what-is-russia-doing-in-the-black-sea?lang=en

Из державы в империю: зачем России был нужен выход к морям. (2021) ttps://ria.ru/20211102/imperiya-1757222672.html

Жильцов. С. (2019) Политика России в Черноморском регионе: итоги и новые вызовы Постсоветские исследования ;№ 6 (2):149-164

Сергеев И. (2019) Почему Москва боится соединения Балтики и Черного моря. Амбициозный проект Украины лишит РФ последнего союзника в Европе ხელმისაწვდომია https://ura.news/articles/1036278837 ბოლო წვდომა 2024 წლის 11 აგვისტო

Стратегия развития морской деятельности Российской Федерации до 2030 года в документах ხელმისავდომია https://marine.org.ru/upload/iblock/550/550e5b930dd0e465b0b21e852e1c73ff.pdf ბოლო ნახვა 2024 წლის 1 ივლისი